# 15 ტროლი, სახელისუფლებო და ანტილიბერალური პლატფორმები მოზარდის ტრაგედიაში ხელისუფლების გასამართლებლად




Rusudan Gabiskiria → 




Zoe Dean




Levan Papuashvili → 



Анар Алиев




ეთერ ლობჟანიძე → 



დაიან კრიუგერი




Edisher Alania → 




Валерій Новіков




Tornike Bolkvadze → 




BRIAN MAYA

MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

# 15 ტროლი, სახელისუფლებო და ანტილიბერალური პლატფორმები მოზარდის ტრაგედიაში ხელისუფლების გასამართლებლად

რედაქტორი:
თამარ კინწურაშვილი

ავტორი:
სოფო გელავა, ანი ქისტაური

დიზაინი:
მარიამ ცუცქირიძე

www.mythdetector.ge
www.mdfgeorgia.ge

მედიის განვითარების ფონდი, 2019

15 წლის ლუკა სირაძის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციას, რომელმაც თვითმკვლელობა, სავარაუდოდ, პოლიციის მხრიდან ფსიქოლოგიური ძალადობის გამო სცადა, ფეისბუქში სახელისუფლებო, პრო-რუსული და ანტილიბერალური გვერდების, ასევე სახელისუფლებო ექსპერტების, მმართველი პარტიის მხარდამჭერებისა და ტროლების მხიდან სხვადასხვა შინაარსის გზავნილები მოჰყვა.

18 და 19 დეკემბერს ფეისბუკში აქტივობების დაკვირვების შედეგად შემდეგი სურათი გამოიკვეთა:

აქტორები და კოორდინირებული მოქმედება:

- ➔ გამოვლინდა 15 ტროლი, რომელთაგან 10 სხვის იდენტობას იპარავს. მათგან 5 ლუკა სირაძის გარდაცვალებაზე კრემლისტური News Front-ის მასალების პოპულარიზაციას ახდენდა;
- ➔ გამოვლინდა 7 ანტილიბერალური (კარდჰუ, პატრიოტული გვერდი, ალტ-კლუბი, geo-pepe, დედაქალაქი, ანტილიბერალური დოქტრინა, ანტი-პარადოქსი 2), 4 ოპოზიციის მადისკრედიტირებელი (პრესტიტუცია, მახსოვს, სირცხვილის კორიდორი, რეტორიკა), 2 სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მქონე მედიის ფბ გვერდი (Caucasus news report, საინფორმაციო გვერდი) და 2 ხელისუფლებასთან დაკავშირებული (ლიდერი 41, NOVR) გვერდი, რომლებიც ლუკა სირაძის გარდაცვალებაზე ბრალს სკოლასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას სდებდნენ;
- ➔ გამოვლინდა 6 ჯგუფი (კახა კალაძე თბილისის მერი, ბიძინა ივანიშვილის მეგობრები ფეისბუქზე, გიორგი მარგველაშვილი გისმენთ მეგობრებო, პროტესტი, Photo-Fact Georgia), სადაც ტროლები და ქართული ოცნების მხარდამჭერები ლუკა სირაძის გარდაცვალების შესახებ გზავნილებს ორგანიზებულად ავრცელებდნენ.
- ➔ გამოვლინდა, რომ ხელისუფლებასთან დაკავშირებული ტრადიციული მედია, მოზარდის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციას ცალმხრივად, პროფესიული სტანდარტების უგულვებელყოფით აშუქებდა.

გზავნილები:

- ➔ ხდებოდა ფოკუსის გადატანა შსს-დან ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და "მწვანე სკოლაზე";
- ➔ მომხდარში ადანაშაულებდნენ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, მათ მიერ დანერგილ განათლების სისტემასა და "მწვანე სკოლას";
- ➔ მოზარდის გარდაცვალებაზე სპეკულირებას ანტილიბერალური გვერდები ანტი-დასავლურ კონტექსტში ახდენდნენ;
- ➔ ამ თემით სპეკულირება ხდებოდა იდეოლოგიურ ჭრილში და წინ წამოიწია სოციალური უთანასწორობის საკითხი;
- ➔ სკოლასა და პოლიტიკურ ოპოზიციაზე ფოკუსის გადატანას ახდენდნენ ტროლები, სახელისუფლებო და პრო-რუსული აქტორები - მათი გზავნილები იდენტური იყო.

- **მოზარდის გარდაცვალებაში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დადანაშაულება**

ყველაზე ხშირად სახელისუფლებო (გვერდები, პარტიის მხარდამჭერები, ექსპერტები, ტროლები) და პრორუსული და ანტილიბერალური აქტორები ცდილობდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ არსებული კრიტიკიდან ყურადღება ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე გადაეტანათ და მოზარდის გარდაცვალებაში ყოფილი მმართველი გუნდი დაედანაშაულებინათ. ეს გზავნილი სამი მიმართულებით განვითარდა: პოლიციაში ენმ-ის კადრები მუშაობენ; "მწვანე სკოლა" ნაციონალურ მოძრაობასთან არის დაკავშირებული; მოზარდის გარდაცვალება ნაციონალური მოძრაობის დანერგილი განათლების სისტემის ბრალია.







News-Front Georgia is at Tbilisi.
13 hrs · Tbilisi ·
💥 ობოლს სკოლიდან აგდებ და ნაცების "ბასკერვილების ძაღლს" ჩაუგდებ კლანჭებში არც სკოლა ხარ, არც ხელისუფლება ...
https://ge.news-front.info/…/obols-skolis-saphasuris-gadau…/
GE.NEWS-FRONT.INFO
„ობოლს სკოლიდან რომ აგდებ და ნაცების "ბასკერვილების ძაღლს" ჩაუგდებ კლანჭებში არც სკოლა ხარ, არ
68 8 Comments 96 Shares


ალტ - კლუბი
13 hours ago
ჯერ კიდევ გუშინ საღამოს შს მინისტრის მოადგილე საზოგადოებას არწმუნებდა, რომ მოზარდზე არანაირ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. ამავე სიუჟეტში, რომელიც ტვ იმედზე გავიდა, თავად ჩულოიანიც მის უდანაშაულობაზე ლაპარაკობდა... დღეს საღამოს უდიდესი ტრაგედია დატრიალდა, სკვდილთან ბრძოლაში ბავშვი დამარცხდა... გარდაცვალებიდან 2 საათში ლონდა თოლორაიამ ჩულოიანის ბრალი გაგვაცნო, იძულებით ჩვენების მიღების შესახებ... ჩულოიანი ფიგურირებს ნაწამები ნიკა გოგუაძის საქმეში, რომელიც 2011 წელს დააკავეს... ლონდა თოლორაია ადეიშვილის დროინდელი პროკურორია...


ეთერ ბოლქვაძე-ჯორთმენაძე
48 mins ·
კიდევ იტყვით ვინ არის დამნაშავე,რატომ შეისრუტეთ ოცნებავ მიშას ჯალათები? რამდენი გყავთ ისევ ასეთი ჯალათი და ტანაც არასრულწლოვანების საქმეები ჩააბარეთ!😢😢😢

PRIMETIME.GE
„ჩემი დაკითხვა გონების დაკარგვიდან გონების დაკარგვამდე მიმდინარეობდა “ - ყოფილი პატიმარი მა


Shako Kutchashvili
7 hrs ·
საპროტესტო შეკითხვები სისტემას
ახლა შევხედოთ ცოტა ფართოდ.
მიშას დროინდელმა გამომძიებელმა, რომელზეც დევს სტრასბურგის გადაწყვეტილება, რომ ავაზაკი ნაძირალაა მიიყვანა (და არა მარტო ამან) თვითმკვლელობამდე 15 წლის ბიჭი.
მიშას დროინდელ გამომძიებელს, რომელსაც სტრასბურგის სასამართლომ უთხრა, რომ ავაზაკია - რა უნდოდა სისტემაში?
როგორ ვიგემროთ ჩვენ თავზე სისტემის რეფორმირება, თუ ისევ ის ხალხი გვიბიძგებს სიკვდილისკენ, ვინც მაშინ გვიბიძგებდა?
განათლების სამინისტრო სკოლებში შინაგანა წესის შაბლონებს, რომ აგზავნის და მიიღეთ ისე,რომ არ იმსჯელოთ რამდენად მოერგება თქვენს სკოლასო, სწორი სისტემაა ეგ?
სკოლის ადმინისტრაცია ბავშვის "ჩაშვებას" რომ მეგობარს თხოვს, სწორი სისტემაა ეგ?
სკოლის ადმინისტრაცია, რო ბედავს და წარწერას ანუ, გამოხატვის თავისუფლებას დანაშაულის კვალიფიკაციას აძლევს და შემდეგ 112-ზე რეკავს. სწორი სისტემაა ეგ?
სკოლის ადმინისტრაციას, რომ კიდია რატომ აგინებს 15 წლის ბავშვი ცხოვრებას. ეგ სწორი სისტემაა?
კერძო სკოლა სწავლის საფასურის გამო, მარჩენალდაკარგული ოჯახის შვილს რომ გააგდებს. სწორი სისტემაა ეგ?
არასწორებო!
ჩემი აზრით, ყველა დამნაშავეები ხართ,
ვინც შექმენით, ვინც გადმოიბარეთ.
ჩემი აზრით, ყველა დამნაშავეები ვართ, ვინც სისტემებს ვინარჩუნებთ.
63 18 Comments 2 Shares


ეთერ ბოლქვაძე-ჯორთმენაძე
4 hrs ·

22 1 Comment 1 Share

სკოლის ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან გაიგივების შესახებ გზავნილი სახელისუფლებო ექსპერტმა გია აბაშიძემ ჯგუფში “info” გაავრცელა, სადაც დაპოსტა, რომ “მწვანე სკოლის” დირექტორის მოადგილე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი წევრის ნუგზარ წიკალურის მეუღლეა. ეს ინფორმაცია შემდგომ სხვა სახელისუფლებო და ანტილიბერალურმა გვერდებმაც გააზიარეს, ასევე გაავრცელა “ასავალ-დასავალის” ავტორმა გიორგი გიგაურმა.

მოზარდის გარდაცვალების დაკავშირება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის განათლების სისტემასთან მეტწილად სხვადასხვა თემატურ ჯგუფში ხდებოდა. ამ ჯგუფებში “ქართული ოცნების” მხარდამჭერი ლალი კიკნაველიძე ორგანიზებულად ავრცელებდა იდენტურ ტექსტს “ნაცი ლომაიას შემოტანილი სისტემის” გაუქმების მოთხოვნით.







- **პარტიებისა და აქტივისტების დადანაშაულება მოზარდის გარდაცვალების ტრაგედიის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებაში**

მოზარდის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ აქტივისტებმა სხვადასხვა ქალაქში პოლიციის მიმართ პროტესტი გამოხატეს. ამ პროტესტს მოჰყვა გზავნილი, რომ ეს ჯგუფები ტრაგედიის საკუთარი ვიწრო მიზნებისთვის იყენებენ, ასევე ხდებოდა აქტივისტების პარტიებთან გაიგივება. ამ გზავნილს სახელისუფლებო გვერდებთან ერთად ქართული ოცნების მხარდამჭერები და პატრიოტთა ალიანსისა და ქართული მარშის წევრი კონსტანტინე მორგოშია ავრცელებდნენ.












- **მოზარდის გარდაცვალებაში სკოლის დადანაშაულება**

“მწვანე სკოლის” მიერ პოლიციის გამოძახებას სკოლის მიმართ სოციალურ ქსელებში კრიტიკა მოჰყვა. ეს კრიტიკა კიდევ უფრო გამძაფრდა ლუკა სირაძის გარდაცვალების შემდეგ. სახელისუფლებო გვერდები და ქართული ოცნების მხარდამჭერები შეეცადნენ, რომ სკოლის მიმართ არსებული კრიტიკა შსს-დან სკოლაზე ყურადღების გადატანისთვის გამოყენებინათ. ამ მიზნით, ეს აქტორები ფეისბუკში სკოლასთან დაკავშირებით სხვადასხვა გადაუმოწმებელ ინფორმაციას ავრცელებდნენ, რომელთა ლეგიტიმაციასაც შემდგომ ონლაინ მედია ახდენდა. ფოკუსის გადატანის მიზანი ასევე გამოჩნდა მაშინ, როდესაც ქართული ოცნების მხარდამჭერმა 18 დეკემბერს საპროტესტო აქცია არა შსს-სთან ან დიღმის განყოფილებასთან, არამედ “მწვანე სკოლის” წინ დააანონსეს, თუმცა მალევე ეს პოსტი წაშალეს. სკოლასთან პროტესტი დაანონსა გიორგი გაბედავამაც, რომელიც ძალადობრივ აქციებში მონაწილეობით გამოირჩევა.









ფეისბუქში აზრის მობილიზების მიზნით სახელისუფლებო გვერდმა “ლიდერი 41” ონლაინ გამოკითხვების გვერდზე NOVR გამოაქვეყნა გამოკითხვა, შეკითხვით თუ ვის მიუძღვოდა ლუკა სირაძის გარდაცვალებაში ბრალი.

გვერდს NOVR (National online Votes & Results), რომელიც 2019 წლის 30 იანვარს არის შექმნილი და დღეის მონაცემებით 563 გამომწერი ჰყავს, ჩვენს შესახებ განყოფილებაში უწერია, რომ “ლიდერი 41-მა ეს გვერდი იმ მიზნით შექმნა, რომ საზოგადოება NDI-სა და IRI-ს კვლევებს უნდობლობას უცხადებს. თავად ლიდერ 41-ს კი ჩვენს შესახებ განყოფილებაში უწერია, რომ ის ქართული ოცნების PR გვერდია.









- **“ლურჯი ვეშაპის” შესახებ ინციდენტის და ლუკა სირაძის გარდაცვალების ერთმანეთთან დაკავშირება**

ამასთან ერთად, გვერდების მიერ ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ორი წლის წინ “ლურჯი ვეშაპის” თამაშში მონაწილე ერთ-ერთი მოზარდი ასევე “მწვანე სკოლის” მოსწავლეა. ეს გვერდები და ფეისბუკ მომხმარებლები, რომლებიც ამ ინფორმაციას სხვადასხვა ჯგუფში ორგანიზებულად აზიარებდნენ, ცდილობდნენ, რომ ეს ორი ამბავი ერთმანეთისთვის დაეკავშირებინათ და ამით, სკოლის წინააღმდეგ მიმართული კრიტიკა კიდევ უფრო გაეძლიერებინათ. გვერდს Caucasus News Report ამ შინაარსის პოსტი დასპონსორებულიც კი აქვს.







- **სოციალური უთანასწორობის თემის წინ წამოწევა და სკოლისთვის ავტორიზაციის შეჩერების მოთხოვნა**

სხვადასხვა აქტორები “მწვანე სკოლის” საფასურზე აპელირებდნენ და სოციალური უთანასწორობის თემით სპეკულირებდნენ. ამ გზავნილების გასამტკიცებლად, ფეისბუკში ვრცელდებოდა დაუდასტურებელი ინფორმაცია, თითქოს სკოლა ლუკა სირაძის ოჯახს სწავლის საფასურის გადახდას აიძულებდა. ეს ინფორმაცია გაავრცელა “ასავალ-დასავალის” ჟურნალისტმა გიორგი გიგაურმაც, რაც შემდეგ სხვადასხვა ონლაინ გამოცემამ გადაბეჭდა. ამავე კონტექსტში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ისრაელში კერძო სკოლები არ არსებობს და “მდიდარი და ღარიბი” მერხთან ერთად ზის. ამის ფონზე ფეისბუკის მომხმარებლები სკოლის დახურვასა და სკოლისთვის ავტორიზაციის შეჩერებას ითხოვდნენ. გვერდები “რიტორიკა”, „ანტი-პარადოქსი 2“ და მიმომხილველი ნუკრი შოშიაშვილი მომხდარს იდეოლოგიურ ჭრილში განიხილავდნენ. საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტმა დავით ოქიტაშვილმა ფეისბუკში გაავრცელა ინფორმაცია, რომ ლუკა სირაძე “მწვანე სკოლიდან” “უფულობის გამო გაუშვეს”.








Inga Berikashvili
19 hrs

Tbilisi Green School - თბილისის მწვანე სკოლა
დასახური ხართ და იცით რატომ?
თქვენც ხართ დამნაშავე ამ ბავშვის თვითმკვლელობის ტრაგედიაში და იცით რატომ?
5400 რომ ღირს სწავლა, კარგად იცით გადაუხდელობის გამო გადაიყვანეს ბავშვი და ცხადია განიცადა, დატოვა კლასელები და იქნებ შეყვარებულიც ჰყავდა და თავმოყვარეობა შეელახა?
ის ხომ 15 წლის მოზარდი იყო? ... See More

459 127 Comments 226 Shares



რუსთავი 21 / RUSTAVI 21
5 hours ago · posted by Facebook User

❗ უნდა შეუჩერდეს სკოლას ლიცენზია.. წარწერების გამო, ბავშვი პოლიციისთვის რატომ გაიმეტეს - ია მეტრეველი „მწვანე სკოლაზე“

უნდა შეუჩერდეს სკოლას ლიცენზია.....
უნდა შეუჩერდეს სკოლას ლიცენზია.. წარწერების...
GHN.GE

1.4x 52 +21 0 -4 1 -2



Dato Okitashvili
5 hrs

სკოლის დანაშაულს რატომ არ აღიარებთ, იმ კერძო სკოლის, სადაც გადასახადი ძალიან ძვირია?! ბავშვს გარდაეცვალა მამა და სკოლიდან უფულობის გამო გამოუშვეს, რამაც მასში გააჩინა პროტესტის გრძნობა და გააკეთა ის, რაც გააკეთა, რისთვისაც სკოლამ 15 წლის ბიჭი დასაჯა.

უსინდისო სკოლამ მოატყუა ლუკას 15 წლის მეგობარი გოგონა, სიმართლე თქვი და პოლიციას არ შევატყობინებთო, მაგრამ პირობა დაარღვია, გოგონამაც გადაიჭრა ვენები, თვითმკვლელობის მცდელობას ჰქონდა ადგილი!! იმ გამომძიებელს გვერდით უნდა მიუსვათ იმ სკოლის მესვეურებიც!!
ლუკას სულს კი ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს!!!!🙏❤️🙏



რიტორიკა - Rhetoric
1 hour ago

იმაზე არ ლადაობთ, კერძო სკოლებზე რომ ანძრევდა ჯაფარიძე აქამდე და ამ ტრაგედიის შემდეგ მოძღვრობაზე რომ გადავიდა. ერთი სუსიც კი არ თქვა კერძო სკოლაზე. არადა კერძო სკოლამ მიიყვანა ის ბავშვი თვითმკვლელობამდე. შეიძლება ეს იმის ბრალია, რომ კერზო სკოლებს მონოპოლია აქვთ და სახელმწიფო ერევა კერძო განათლებაში და ოლიგოპოლიებია და ეს კაპიტალიზმი არაა და ეს ქრონი კაპიტალიზმია და ამიტომ თავისუფალი ბაზარი არაა და ამიტომ კერძო სკოლებს ყლეზე კიდიათ ბავშვები და თუ რეალური კონკურენცია გვექნებოდა კერძო სკოლებში, მაშინ კერძო სკოლები ბავშვებს ფეხებზე არ დაიკიდებდნენ რათა მოგება გაზარდონ.



THE GEORGIAN TIMES

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება სამართალი მსოფლიო CITY TIMES საინტერესოა სპორტი
ბიზნეს რეიტინგი

საზოგადოება

„ეს არ არის ერთი პოლიციელის დანაშაული მარტო, ეს არის სკოლის დირექციის დანაშაული, იმ ღირებულებების დანაშაული, რაზეც ჩვენ დღემდე ვდგავართ - ეს არის ნეოლიბერალიზმის დანაშაული“

23:38 18.12.2019

ისტორტიკოსი ნუკრი შოშიაშვილი სოციალურ ქსელში ეხმაურება ლუკა სირაძის გარდაცვალების ფაქტს და ხაზს უსვამს იმ პრობლემებს, რაც ამ ტრაგედიამ საზოგადოებას უნდა დაანახოს:

„ამ მოვლენამ აჩვენა სისტემური ჩავარდნა როგორც ღირებულებებში, ისე დაგვანახა ნეოლიბერალიზმის ბოროტი სახე. კერძო საკუთრების აბსოლუტური ფეტიში და სოციალური სეგრეგაცია. ხომ ყველა ვხდებით, რომ ვინმე შეძლებულის შვილი რომ ყოფილიყო, რაც არ უნდა ხულიგნობა ჩაედინა, ესე პოლიცია არ დაელაპარაკებოდა მას. ანუ მარტო სოციალურად დაბალ ფენებს რომ ექმნება ესეთი სახის პრობლემები პოლიციასთან ამასაც ვხედავთ. მეორე ის დავინახეთ, რომ კერძო სკოლა და მისი



ანტი-პარადოქსი 2
· Yesterday ·

დააბრუნეთ რელიგია სკოლებში!!!

ვერცერთ ინტერნეტ გამოცემაში ვერ ვნახე ის ფაქტი, რომ ნიკა სირაძეს მამა გარდაეცვალა, და ცხოვრებას "უსამართლობას" სწორედ ამის გამო აყვედრიდა სიტყვებით: "ამ ცხოვრების დედაც". ეს ინფორმაცია ხომ კონკურენციას გაუწევს სისტემის წინააღმდეგ საპროტესტო ლოზუნგებს, ტრენდებს, "სისტემა უნდა დაინგრეს" პათოსს. ვფიქრობ ხუთწუთიანი ფსიქოლოგიური ძალადობა ვერ გახდებოდა სუიციდის მიზეზი, მაგრამ ეს ნაბიჭვარი ქალი, რომელიც ძალადობით განთქმულია და სხვებიც, მაქსიმალურად უნდა დაისაჯონ.

პლიუს ეს დამპალი კაპიტალიზმი, არსებობს მოსაზრება, რომ ბავშვი იმის გამო გადავიდა კომერციული "მწვანე სკოლიდან", რომ გადახდა ველარ შეძლეს მამის გარდაცვალების გამო.

- **მოზარდის გარდაცვალებაში ლიბერალური იდეოლოგიისა და ჯორჯ სოროსის დადანაშაულება**

ეს გზავნილი გვერდებმა “ანტილიბერალური დოქტრინა”, “პატრიოტული გვერდი” და ფეისბუკ პროფილმა “საქათველო უპირველეს ყოვლისა” გაავრცელეს. გვერდმა “ანტილიბერალურმა დოქტრინა” და პროფილმა

“საქართველო უპირველეს ყოვლისა” აქტივისტების დისკრედიტაციის რუსული მოდელი გაიმეორა და პროტესტის გამომხატველები LGBT თემთან გააიგივა.



ანტილიბერალური დოქტრინა.
52 mins ·

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ 15 წლის მოზარდის გარდაცვალების გამო.

ვფიქრობ ჩვენი სახელმწიფო მნივნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას როგორ გავუფრთხილდეთ მომავალ თაობას,
სხვა უამრავ პრობლემასთან ერთად მომავალი თაობის ჯანსაღი აღზრდა და მათი სულიერი მდგომარეობის გაუმჯოობესება ერთ-ერთ მთავარ ამოცანად უნდადავისახოთ.

ფასადურია ის პროტესტი,რომელსაც LGBT-სამოქალქო აქტივისტები გვთავაზობს, #სისტემა_უნდადაინგრეს დიახ მაგრამ ამსისტემის შემქმნელების ხელით ეს ნამვილად ვერმოხდება.

პირველრიგში ლიბერალურ-დემონკრატიული სისტემა უნდადაინგრეს,რომელიც მოზარდების ცნობიერების დეფორმაციას ახდენს.



პატრიოტული გვერდი
15 hours ago

კარგად დაიმახსოვრეთ ამ ანგელოზის სახე მისი ანგელოზი სული "უსაფრთხო, შემდგარი დემოკრატიული ქვეყნის" პოლიციელების , ქვეწარმავალი სოროსის გველების აღზრდილი მენტალიტეტის სკოლაზე და ამ ყველაფრის ცხოვრების წესად დამკვიდრების კისერზეა.
ხო არ ჩაუშვა არ დაადო არავის თითი და მოიკლა თავი პატიოსანი სული ქონდა და მიტო თქვენგან განსხვავები.



Photo-Fact GEORGIA
Public group
About
Discussion
საქართველო's post

+ Join Group
··· More
Join this group to post and comme

საქართველო უპირველეს ყოვლისა
6 hrs

დააბრუნეთ სკოლებში რელიგია !!!
ბავშვებს სულიერი საზრდო მიეცით !!!
მოაშორეთ სახლემწიფო სამსახურებს და განათლების სისტემას ეს ლგბტ აქტივისტები !!!



Photo-Fact GEORGIA
Public group
About
Discussion
საქართველო's post

+ Join Group
··· More
Join this group to post and comm

საქართველო უპირველეს ყოვლისა
6 hrs

დააბრუნეთ სკოლებში რელიგია !!!
ბავშვებს სულიერი საზრდო მიეცით !!!
მოაშორეთ სახლემწიფო სამსახურებს და განათლების სისტემას ეს ლგბტ აქტივისტები !!!

- **როგორ აშუქებს ხელისუფლებასთან დაკავშირებული მედია მოზარდის გარდაცვალების ამბავს?**

სახელისუფლებო და ანტილიბერალური აქტორების მიერ გავრცელებული ნარატივების მულტიპლიკაცია ხელისუფლებასთან დაკავშირებული მედიების საიტებსა და ფეისბუქ გვერდებზე ხდებოდა. აღსანიშნავია, რომ გამოკვეთილი მედია საშუალებები არ იცავდნენ სუიციდის გაშუქების შესახებ არსებულ პროფესიულ სტანდარტებს და 15 წლის მოზარდის გარდაცვალების ამბავს ემოციური სათაურებითა და სკანდალის სტილში აშუქებდნენ. ისინი

მეტწილად სოციალურ ქსელებში სხვადსხვა მომხმარებლის მიერ გამოქვეყნებულ პოსტებს ცალმხრივად, გადამოწმების და დაბალანსების გარეშე ციტატების სახით აქვეყნებდნენ.
























- **ტროლების მობილიზება**

ზემოთ გამოკვეთილი ნარატივების გარშემო, ფეისბუკის მომხმარებელთა აზრის მობილიზაციის მიზნით, იდენტურ გზავნილებს ტროლები სხვადასხვა ჯგუფებში აზიარებდნენ. 18-19 დეკემბრის პერიოდში გამოვლინდა 15 ტროლი, რომლებიც ლუკა სირაძის გარდაცვალების თემაზე ფეისბუქში აქტიურობდნენ. 15-დან 10 ტროლი სხვის იდენტობას იპარავს, ხოლო 5-ს მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია თუ ფოტო არ აქვს და იდენტობას მალავს. 15-დან 6 ტროლი კრემლისტური გამოცემა News Front-ის მასალების პოპულარიზაციას ახდენდა.

| ტროლი | ვის იდენტობას იპარავს | აქტივობა |
|---|---|---|
| Rusudan Gabiskiria   | იპარავს მსახიობის - Zoe Dean-ის იდენტობას   | აზიარებს News-Front Georgia-ს პოსტს ჯგუფში Photo-Fact GEORGIA   |
| Levan Papuashvili   | იპარავს Анар Алиев-ის იდენტობას  | აზიარებს ლურჯი ვეშაპის შესახებ პოსტს ჯგუფებში "მოქალაქე" არასამთავრობო ორგანიზაცია და გიორგი მარგველაშვილი გისმენთ, მეგობრებო!   |

<table>
<tr>
<td>ეთერ ლობჟანიძე<br></td>
<td>იპარავს მსახიობ დაიან კრიუგერის იდენტობას<br>Diane Kruger</td>
<td>აქტიურობს კომენტარებში და ბრალს სდებს ენმ-ს<br><br></td>
</tr>
<tr>
<td>Edisher Alania<br></td>
<td>იპარავს Валерій Новіков-ის იდენტობას<br></td>
<td>აზიარებს News Front Georgia-ს პოსტს ჯგუფში პროტესტი! Protest! Протест!<br></td>
</tr>
<tr>
<td>Tornike Bolkvadze<br></td>
<td>იპარავს არგენტინელი მსახიობის BRIAN MAYA-ს იდენტობას<br></td>
<td>აზიარებს News Front Georgia-ს პოსტს ჯგუფში პროტესტი! Protest! Протест!<br></td>
</tr>
<tr>
<td>Givi ukleba<br></td>
<td>იპარავს სერბი მსახიობის Sergej Trifunovic-ის იდენტობას<br></td>
<td>აზიარებს News Front Georgia-ს პოსტს ჯგუფში ბიძინა ივანიშვილის მეგობრები "ფეისბუქზე"<br></td>
</tr>
</table>

<table>
<tr><th></th><th></th><th></th></tr>
<tr>
<td>Irakli Lomidze



</td>
<td>იპარავს ბერძენი ხელბურთელის - Konstantin Igropulo-ს იდენტობას



</td>
<td>აზიარებს News Front Georgia-ს პოსტს



</td>
</tr>
<tr>
<td>Tekla Duduchava (დეაქტივირებული)</td>
<td>იპარავს სხვა ადამიანის ფოტოს პინტერესტიდან



</td>
<td>პროტესტს უკავშირებდა პოლიტიკური ქულების დაწერას



</td>
</tr>
<tr>
<td>Anushki aniko (დეაქტივირებული)</td>
<td>იპარავს ამერიკელი მსახიობის sadie sink-ის იდენტობას



</td>
<td>აზიარებდა ასავალ-დასავალის ჟურნალისტის გიორგი გიგაურის პოსტებს



</td>
</tr>
</table>

<table>
<tr>
<td>

[Andria Gogelashvili]




</td>
<td>

იპარავს Vkontakte-ს მომხმარებლის [Roman Mamedo]v-ის იდენტობას



</td>
<td>

აზიარებს გამომძიებლის დაკავების შესახებ ინფორმაციას [კახა კალაძისა] და [ბიძინა ივანიშვილის] მხარდამჭერ ჯგუფებში







</td>
</tr>
</table>

## ტროლები, რომლებიც იდენტობას მალავენ

<table>
<tr><th>ტროლი</th><th>აქტივობა</th></tr>
<tr>
<td>

[Rezo Narushvili]




</td>
<td>

პროტესტს უკავშირებს პოლიტიკური ქულების დაწერას




</td>
</tr>
<tr>
<td>

[Teka Robashvili]




</td>
<td>

პროტესტს უკავშირებს პოლიტიკური ქულების დაწერას




</td>
</tr>
</table>

<table>
<tr>
<td>

Sandro Shekiladze




</td>
<td>

პროტესტს უკავშირებს პოლიტიკური ქულების დაწერას




</td>
</tr>
<tr>
<td>

Dede Nene




</td>
<td>

კახა კალაძის მხარდამჭერ ჯგუფში ბრალს სდებს ნაციონალურ მოძრაობას




</td>
</tr>
<tr>
<td>

Ertaozi Jurkvetidan




</td>
<td>

მომხდარში ბრალს სდებს ნაციონალურ მოძრაობას




</td>
</tr>
</table>